ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი –ნოტარიუსი ი. კ

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 029/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ბ-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ბ-თვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 აპრილს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნოტარიუსმა ი. კ-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ბ-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2005 წლის 15 მარტს მოქალაქე ი. ბ-სა და მოქალაქე ს. კ-ს შორის დაიდო ხელწერილი, რომლის თანახმად ს. კ-მა მიყიდა უძრავი ქონება ი. ბ-ს. მან, როგორც ნოტარიუსმა 2005 წლის 15 მარტს დაამოწმა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ს. კ აძლევდა უფლებას ი. ბ-ს განეკარგა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება. მან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში დაამოწმა ხელმოწერის ნამდვილობა, ხოლო შეთანხმების შინაარსში ჩარევის უფლება მას არ ჰქონდა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 15 ივლისს ი. ბ-მა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში მის წინააღმდეგ აღძრა სამოქალაქო სარჩელი - ნოტარიუსის მიერ განხორციელებული ქმედების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, მოსარჩელის წარმომადგენელი იყო ადვოკატი ნ. ბ. ადვოკატმა იშუამდგომლა მის ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე, მისი მოთხოვნა უსაფუძვლობის გამო მოსამართლემ არ დააკმაყოფილა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 25 ოქტომბერს განცხადებით მიმართა საქართველოს ნოტარიუსთა პალატის დისციპლინურ კომისიას, სადაც ის მოიხსენია სავარაუდო დამნაშავის - დისციპლინური დამრღვევის სახელით. განცხადების ტექსტში ადვოკატი იმეორებდა, რომ ,,ნოტარიუსმა მეტი დამაჯერებლობისთვის დასვა ნოტარიუსის ბეჭედი. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ თაღლითურად წაერთმიათ თანხა მისი მარწმუნებლისათვის. ნოტარიუსის დისციპლინური გადაცდომის კიდევ ერთი დასტური იყო, რომ მან ნოტარიუსს მიმართა განცხადებით, ნოტარიუსს კი მისთვის პასუხი არ გაუცია, რადგან ყველა კითხვაზე პასუხი არის დადებითი და რომ ნოტარიუსის პასუხი მისივე თავთან წინააღმდეგობაში მოვიდოდა“.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი განცხადების მესამე გვერდზე კვლავ იმეორებდა: ,,ნოტარიუსმა დისციპლინური გადაცდომა ჩაიდინა, მეტი დამაჯერებლობისთვის დასვა ბეჭედი და ხელი მოაწერა ხელშეკრულების მეორე გვერდზე, მას თავისი ვალდებულების სულ მცირე პროცენტიც არ შეუსრულებია, ის მოქალაქე ს. კ.-სთან შეთანხმებით მოქმედებდა“. ამ განცხადებაზე გასული იყო განხილვის ხანდაზმულობის ვადა, რის გამოც საკითხის განხილვა ვერ მოხდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, იუსტიციის სამინისტროს მომართვით ნ. ბ-ს განცხადებაზე უარი ეთქვა და დადგინდა, რომ ნოტარიუსის მხრიდან არ გამოიკვეთა კანონდარღვევის ფაქტი.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 24 მარტს თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ საქმეზე გამოიტანა გადაწყვეტილება და ი. ბ-ის სასარჩელო მოთხოვნას მის მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უარი უთხრა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ნ. ბ-მ მთელი ამ პროცესის წარმოების პერიოდში შეურაცხყო მისი, როგორც პიროვნებისა და როგორც ნოტარიუსის ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. ადვოკატმა ის სავარაუდო დამნაშავედ მოიხსენია და განუსაზღვრა კონკრეტული დანაშაულის სახეც კი. მის განცხადებაში პირდაპირაა მითითებული, რომ ნოტარიუსი მოქალაქე ს. კ-თან ერთად თაღლითური გზით ცდილობდა მისი მარწმუნებლისათვის თანხის წართმევას. ის ნოტარიუსის ბეჭედს იყენებდა ხალხის დასარწმუნებლად, რათა დანაშაულის ჩადენა გაადვილებოდა. ამ განცხადებით ადვოკატმა მას მიაყენა მორალური და მატერიალური ზიანი, მან დაკარგა კლიენტები, შეუმცირდა შემოსავალი და ხალხის თვალში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა მისი პროფესიული ღირებულებები. ის მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიმართ მკაცრი ზომები უნდა გატარდეს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ბ-მ 2017 წლის 18 აპრილს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მან როგორც ი. ბ-ის წარმომადგენელმა ნამდვილად აღძრა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში სარჩელი საჩივრის ავტორისა და მოქალაქე კ.-ს

მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. მისი სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის განცხადებით, რომელიც ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო მოპასუხე კ.-ს უძრავ ქონებას, ხოლო ნოტარიუსის ნაწილში სასამართლომ მისი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რადგან ეს არ გახდა საჭირო. სასამართლომ განმარტა, რომ მოქალაქე კ.-ს ქონებაზე გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფა საკმარისია სასარჩელო მოთხოვნის დასაკმაყოფილებად, გარდა ამისა, ზიანის უზრუნველსაყოფად ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისათვის.

2.3 ადვოკატის განცხადებით, 2016 წლის 25 ოქტომბერს მან მიმართა ნოტარიუსთა პალატის დისციპლინურ კომისიას და მოითხოვა კ.-ს მიმართ დაწყებულიყო დისციპლინური სამართალწარმოება. ნოტარიუსმა ნამდვილად გასცა გარკვეული უფლებებით საცხოვრებელ სახლზე მინდობილობა და ხელწერილს ხელი მოაწერა, ასევე დასვა თავისი ბეჭედი. სანამ იუსტიციის სამინისტრო დაიწყებდა ამ ყველაფრის მოკვლევას, მანამდე ნოტარიუსი კატეგორიულად უარყოფდა, რომ ხელწერილზე იყო მისი ხელმოწერა და რომ ბეჭედი მან დასვა, თუმცა შემდეგ შეცვალა პოზიცია და ყველაფერი აღიარა. ადვოკატი განმარტავს, რომ ნოტარიუსთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მოკვლევას ვერ ჩაატარებს და ვერ იმსჯელებს დისციპლინურ გადაცდომაზე, რადგან გასულია ხანდაზმულობის ვადა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, მან ამ საქმეზე მიმართა იუსტიციის სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და მოითხოვა ნოტარიუსის მიერ განხორციელებულ ქმედებაზე გამოძიების დაწყება. იუსტიციის სამინისტროს პასუხის თანახმად: ,,ნოტარიუსმა 2005 წელს ნამდვილად შეადგინა მინდობილობა და მანვე დაამოწმა ხელწერილზე კ.-ს ხელმოწერის ნამდვილობა. ხოლო რაც შეეხება მინდობილობაში ჩანაწერს - მე დავადგინე , რომ აღნიშნული სახლი საკუთრების უფლებით ნამდვილად ეკუთვნის კ.-ს თანახმად ყიდვა-გაყიდვისა - წარმოადგენს მექანიკურ შეცდომას“. სამინისტრომ განმარტა, რომ ნოტარიუსის ბრალეულობა არ იკვეთება - ეს არის მათი კომპეტენცია.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან განცხადებით მიმართა ნოტარიუსს და მოითხოვა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: ,,2005 წლის 15 მარტს ნასყიდობის ხელწერილი დამოწმდა თუ არა თქვენს მიერ, ბეჭედი და ხელმოწერა თქვენ გეკუთვნით თუ არა?; მოხდა თუ არა აღნიშნული სანოტარო მოქმედების ჩანაწერის გაკეთება, სარეგისტრაციო ჩანაწერი..; 2005 წლის 15 მარტს მოქალაქე ს.-ს მიერ გაცემული მინდობილობის დამოწმება თქვენ მიერ მოხდა თუ არა?; აღნიშნული მინდობილობა გაცემული იყო უვადოდ, შესაბამისად გთხოვთ გვაცნობოთ ძალაშია თუ არა მინდობილობა“. განცხადება მან პირადად ხელზე ჩააბარა ნოტარიუსს, რომელზეც არავითარი პასუხი არ გაუცია. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ის წარმოადგენდა აღნიშნულის დამადასტურებელ მტკიცებულებას.

2.6 ადვოკატის განცხადებით, მან, როგორც მოქალაქე ი. ბ.-ის წარმომადგენელმა, კანონის სრული დაცვით განახორციელა კლიენტის წარმომადგენლობა სანოტარო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, იუსტიციის სამინისტროში, თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში. ნოტარიუსის ბრალდება, რომ ადვოკატმა მას უწოდა დამნაშავე, თაღლითი და ა.შ., არის არასერიოზული

განცხადება, აბსტრაქტული და აბსურდული მითითება მის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე. მას, როგორც ადვოკატს არცერთ მიმართვაში მსგავსი ბრალდება არ გაუკეთებია. ის მითითებას აკეთებდა ვარაუდის სახით, შემდეგი ფრაზით: ,,სავარაუდო დამნაშავე - დისციპლინის დამრღვევი" და ითხოვდა შესაბამისი უწყებების მიერ საკითხის გამოკვლევას. ნოტარიუსის ბრალდება მის მიმართ არის უსაფუძვლო და ეთიკის კომისიამ არ უნდა გაიზიაროს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ბ არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ნოტარიუსმა ი. კ-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 03 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016 წელს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ბ-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2017 წლის 12 ივნისს ნოტარიუსმა ი. კ-მა განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ უარს აცხადებს თავის საჩივარზე ადვოკატ ნ. ბ-ის მიმართ /სიითი №/ და სურს საჩივრის უკან გახმობა.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად: ,,საპროცესო კოლეგია შეწყვეტს საქმის წარმოებას დებულებით გათვალისწინებული საფუძვლებით, ასევე იმ შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)". შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ ნ. ბ-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N029/17 ადვოკატ ნ. ბ-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/